ქრისტიანობა და ქართული კულტურა

დღეს ბევრი ლაპარაკია ქართველთა გათიშულობის დაძლევისა და ქართველი ხალხის გაერთიანების შესახებ, რაც წინაპირობა და ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს შექმნისა. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა და მიდრეკილებების, ჩვენი საერთო ენისა და კულტურის ნიადაგზე. ოღესღაც სწორედ ქართული ენა და ქართული ქრისტიანული რწმენა იყო ის ფაქტორი, რომელმაც ქართველი ერი, ცალკეულ ქართველურ ტომთაგან შემდგარი, გააერთიანა და საფუძველი ჩაუყარა ერთიანი, მთლიანი და ძლავრი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნას. თანამედროვე ქართული კულტურა საფუძველში არსებითად ქრისტიანულია, ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი და სპეციფიკური ნიშნით. ეს ელინდება, უპირველეს ყოვლისა, ქართულ წერაში, ძველსა და ახალში. წერითი სისტემა, დამწერლობა ხალხის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო გამოვლინებაა, და სწორედ ქრისტიანული დამწერლობის უტყუარ ნიშნებს ამჟღავნებს ძველი ქართული წერა, რომელიც „ასომთავრული დამწერლობის“ სახელთან არის ცნობილი და რომლისგანაც ქართული წერის ყველა დანარჩენი სახეობა მომდინარეობს.

ქართული „ასომთავრული“ შეიქმნა ქრისტიანულ ეპოქაში, თავდაპირველად „საღმრთო წიგნების“ სათარგმნელად და ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლების ქართულ ენაზე შესათხზაველად.

აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესია და საზოგადოდ აღმოსავლური ქრისტიანობა ქრისტიანულ რწმენას წარმართ ხალხებს შორის აერცელებდა ამ ადგილობრივ ხალხთა ენებზე, რისთვისაც სპეციალური დამწერლობები იქმნებოდა. ასე მოხდა ეს კოპტური, გოთური, სომხური და სლავიური დამწერლობების შექმნის შემთხვევაში. ქრისტიანობა, კერძოდ მისი აღმოსავლური განშტოება, იყო ასევე საფუძველი ჩვენში ძველი ქართული „ასომთავრული დამწერლობის“ შექმნისა.

ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გულისხმობდა იმავდროულად ფართო მუშაობის გაშლას ეროვნულ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურის სათარგმნლად სპეციალურად ამ მიზნებისათვის ახლად შექმნილი „ეროვნული დამწერლობის“ საშუალებით.

ამგვარი ეროვნული ტენდენციები დამახასიათებელი იყო აღმოსავლური ქრისტიანობისათვის, რომელიც ატარებდა ეროვნულ ღვთისმსახურების თვალსაზრისით ენათა [illegible] ქრისტიანობის პრინციპს და ბიბლიოთეკის ახალი, ქრისტიანული კულტურის შექმნისაკენ ეროვნული ენისა და ეროვნული დამწერლობის საფუძველზე. აღმოსავლური, ბერძნული ქრისტიანობა ამ თვალსაზრისით განსხვავდებოდა რომაული ეკლესიისაგან, რომელიც კრძალავდა სახარების ადგილობრივ ენებზე თარგმნას და ქრისტიანობას თავისი მისიონერების საშუალებით აერცელებდა ლათინური ენისა და დამწერლობის საფუძველზე, რაც იწვევდა ეროვნული ენებისა და ადგილობრივი კულტურის დათრგუნვას. ღვთისმსახურება დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ ლათინურად წარმოებდა.

ამ თვალსაზრისით რომაულ-კათოლიკური ეკლესია მკვეთრად ემიჯნება აღმოსავლურ-ქრისტიანულ სარწმუნოებას და კულტურულ-ტიპოლოგიურად ემსგავსება უფრო მაჰმადიანურ რწმენას, რომელიც კრძალავს ისლამის არაბულად შედგენილი წმინდა წიგნის — „ყურანის“ თარგმნას იმ ხალხის ენებზე, რომელთა შორისაც ვრცელდებოდა ისლამი. ამიტომ ამ სარწმუნოებრივ-კულტურულ არეალებში არ მომხდარა „წმინდა წიგნების“ სათანადო ენებზე თარგმნა და არ შექმნილა ამ ენების შესაბამისი დამწერლობანი. ორივე ამ სამყაროში მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა სათანადო დამწერლობები, და ისიც ძირითადად, ერთის მხრივ, ლათინური და, მეორეს მხრივ, არაბული დამწერლობის საფუძველზე.

სულ სხვა სურათი გვაქვს აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში, სადაც აღმოსავლურ-ქრისტიანული რწმენის სხვადასხვა რეგიონებში გავრცელებასთან ერთად იწყება სათანადო დამწერლობათა შექმნა, რათა ქრისტიანობის საღმრთო წიგნები თარგმნილიყო ადგილობრივ ენებზე და დასაბამითგანვე ღვთისმსახურება წარმოებულიყო ამ ხალხთა მშობლიურ ენებზე.

ამ თვალსაზრისით აღმოსავლური ქრისტიანობა უფრო „დემოკრატიული“ აღმოჩნდა ქრისტიანობის წიაღში ადგილობრივი კულტურის განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე რომაულ-კათოლიკური. შემთხვევითი არაა ის, რომ რეფორმაციის და საზოგადოდ პროტესტანტული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი დებულება რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგოდ სწორედ სახარების ეროვნულ ენებზე უქონლობა იყო და ღვთისმსახურების წარმოება ხალხისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე. საღმრთო წიგნების მშობლიურ ენაზე გადატანა იყო სწორედ ლუთერანული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რასაც მოჰყვა მარტინ ლუთერის მიერ სახარების გერმანულად თარგმნა და პროტესტანტული ეკლესიის ჩამოყალიბება, სადაც „ჟამი შეიწირვოდა“ და „ლოცვა აღესრულებოდა“ უკვე ადგილობრივ, ეროვნულ ენებზე.

მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, უკვე ჩვენ დროში, რომაულ-კათოლიკური ეკლესია ნებას რთავს, ლიტურგია აწარმოონ ადგილობრივ ენებზე, რაც არსებითად არღვევს კათოლიციზმის ტრადიციულ პრინციპს ღვთისმსახურების ენობრივი შეზღუდვის თაობაზე. ეს მოხდა მხოლოდ 1902 წელს „როძის კრების“ დადგენილებით, რომელმაც შემოიღო ღვთისმსახურების ეს ახალი პრინციპი. საგულისხმოა, რომ ამ პრინციპის ფართო გამოვლინებას ჩვენ დღეს რომის პაპის იოანე პაველ II მაგალითზე ვხედავთ. იგი წარავს ჩვეულებრივ იმ ხალხთა ენებზე, რომელთაც ეწვევა ხოლმე თავისი მოგზაურობის დროს.

ენათა თანასწორუფლებიანობის იდეას ღმერთის წინაშე აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიის დოკტრინაში, რამაც წარმოშვა თავდაპირველად აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში მთელი რიგი ახალი დამწერლობები, და დასაბამი მისცა ეროვნულ ენებზე წერილობით ფიქსირებული ქრისტიანული ლიტერატურის შექმნას, მოჰყვა ამ ენათა სოციალური ფუნქციისა და მნიშვნელობის ზრდა, ეროვნული ენისა და დამწერლობის გადაქცევა ხალხთა ეროვნული იდენტიფიკაციისა და კულტურული თვითდამკვიდრების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად.

აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში ბერძნულ ენასთან და ეკლესიის სხვა ოფიციალურ ენებთან ახლადგაქრისტიანებულ ხალხთა ენების თანასწორუფლებიანობის პრინციპი თანდათან ეროვნულ ენათა პრიმატისა და თვისებრივი აღმატებულობის იდეით იცვლება, რაც, მაგალითად, იოანე ზოსიმეს „ქართული ენის „ქებასა და დიდებას“ ათქმევინებს, რომლის თანახმად „მეოთხედ მოსვლის“ ჟამს „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“, ანდა მე-13 საუკუნის სომეხ მოღვაწეს ვარდან არეველცის სომხურ ენას წარმოადგენინებს როგორც „ყოველთა ენათა გვირგვინს ქვეყანასა ზედა“. ყოველივე ეს ერთი და იმავე ტენდენციის გამოვლინებაა აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში — ქრისტიანობამდელ ქართულ სახელმწიფოში „მწიგნობრობის“ არსებობა თუნდაც რომ მხოლოდ „ალოგლოტოგრაფიის“ სახით ვივარაუდოთ, ესეც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მშობლიურ ენაზე ლიტერატურული ტრადიციების სწრაფ განვითარებას ეროვნული დამწერლობის შემოღების შემდგომ. მწიგნობრობა მშობლიურ ენაზე ერთგვარი გაგრძელება იქნებოდა ამ ენებზე მანამდე არსებული მწიგნობრული ტრადიციებისა.

უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე, რომ ქრისტიანობამდელ ქართულ სამყაროში „ლიტერატურული“ ტრადიციები არსებობდა ზეპირსიტყვიერების სახითაც. ცნობილია, რომ ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურაში არ იწყება აუცილებლად ენის წერილობით ფიქსაციასთან ერთად, ამ ენაზე დამწერლობის გაჩენასთან ერთად. „ლიტერატურული ტრადიციები“ და „ლიტერატურული ენა“ შესაძლებელია არსებობდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზეპირსიტყვიერების სახითაც, ამ ენაზე სპეციფიკური დამწერლობის არსებობის გარეშე. წერის შემოღება მხოლოდ გრაფიკულ ფიქსაციას ახდენს ამგვარი ტრადიციებისას და ხელს უწყობს ლიტერატურული ენის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

ასე, მაგალითად, ძველი ინდური ლიტერატურული ძეგლები — ვედური პიმნები — ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ზეპირსიტყვიერების ძეგლებს წარმოადგენდნ; ისინი ზეპირად ვრცელდებოდა და გადაიცემოდა თაობიდან თაობაზე; ასევე, ჰომეროსის პიმნები შეიქმნა მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ვიდრე მათი წერილობითი ფიქსაცია და ჩაწერა განხორციელდა; ეგეთე შეიხება სხვადასხვა ევროპელ ლიტერატურულ ტრადიციებს და სხვ.

ზეპირსიტყვიერების ამგვარ ტრადიციებს აძლიერებდა აგრეთვე ახლად გაქრისტიანებულ აღმოსავლურ სამყაროში (მათ შორის ალბათ საქართველოშიც) „საღმრთო წიგნების“ გადმოღების ისეთი წესი, რასაც „ალოგლოტრაფია“ ანუ „სხვა-ენაზე-თქმა“ შეიძლება ეწოდოს, როდესაც მოსახლეობაში მშობლიურ ენაზე ქადაგება ხდებოდა რელიგიური ტექსტების („ძველი“ და განსაკუთრებით „ახალი აღთქმის“) უშუალოდ ზეპირად გადმოღება-თარგმანების საშუალებით. ასეთ ვითარებაში იბეჭდებოდა და მდიდრდებოდა ლექსიკურად და ტერმინოლოგიურად თვით ის ენაც, რომელზედაც ქადაგებდნენ და ზეპირად გადმოსცემდნენ კანონიკურ რელიგიურ ტექსტებს. ამასაც უნდა შეექმნა წინაპირობა იმისა, რომ ქართული ენა განვითარებულ და დახვეწილ ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებულიყო საკუთრივ ქართული ქრისტიანული დამწერლობის შექმნისა და ენის წერილობითი ფიქსაციის დროისათვის.

ამგვარად, ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოღებულ უნდა ყოფილიყო ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. ქრისტიანული რწმენა იმხნად, როგორც მშობლიური ენა და კულტურა დღეს, იყო ჩვენში ერთ-ერთი ძირითადი წყარო და პირობა ეროვნული თვითდამკვიდრებისა. სარწმუნოება იმ ეპოქაში, და განსაკუთრებით აღმოსავლურ-ქრისტიანული რწმენა თავისი მოწამებრივი იდეოლოგიითა, თავისი ეროვნული ენითა და ორიგინალური დამწერლობით, ხდება მძლავრი იარაღი ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთგზის გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე სრული ეროვნული გადაგვარებისაგან. „ქართველებად“ იწოდებოდნენ და ითვლებოდნენ იმხნად ყველანი, ვინც აღიარებდა ქართულ ეკლესიას და ლოცულობდა ქართულად, მიუხედავად მათი ეთნიკურობისა და ეთნიკური წარმოშობისა. უკვე ამ ადრეულ ეპოქაში მოქმედებდა, როგორც ჩანს, ის პრინციპი, რომელიც გიორგი მერჩულემ მოგვიანებით ცნობილი ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: „ქართლად ფრიადი ქეყეანაი აღიარაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცეაი ყოველი აღესრულების“.

აღმოსავლეთ სლავებმა და მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში დიდის ზეიმით აღნიშნეს ძველი სლავური დამწერლობისა და ქრისტიანული სლავური კულტურის ათასი წლისთავი. ჩვენც, ქართველებს, გვმართებს, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასასრულამდე, საზეიმოდ აღვნიშნოთ ძველი ქართული დამწერლობისა და ქართული ქრისტიანული კულტურის შექმნის საიუბილეო თარიღი. ეს იქნებოდა დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა და ზეიმი მთელი ცივილიზებული ქრისტიანული სამყაროსათვის აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში.

„დედნიკოსი“
თამაზ გამყრელიძე